# “2020 წლის არჩევნები საქართველოსა და აშშ-ში: წინაპირობები, ურთიერთკავშირი და პროგნოზები”

**სტატიის ავტორი: ლაშა შამათავა**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო
პროგრამის დოქტორანტი

**Article prepared by: Lasha Shamatava**

PhD Student at Caucasus International University

Faculty of Social Sciences

Doctoral Program in Political Science

**Tbilisi 2021**

**აბსტრაქტი**

ცნობილია, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც აშშ-ში საპრეზიდენტო საარჩევნო წელს ხდება მსოფლიოში, პირდაპირ ან ირიბად დიდ გავლენას ახდენს ამ არჩევნების შედეგებზე.

შესაბამისად, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოვიდ19-ის პანდემიამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე. სტატიაში წარმოდგენილია აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების ანალიზი სწორედ კოვიდ19-ის პანდემიასთან და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აშშ-სა თუ დანარჩენ მსოფლიოში (ამ მოვლენებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მოძრაობა „Black Lives Matter“).

ზემოხსენებულთან დაკავშირებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ერთ-ერთმა ქართველმა მეცნიერმა თავის ნაშრომებში რამდენიმე წლით ადრე გააკეთა აშშ-ში დღეს მიმდინარე პროცესების პროგნოზირება. ჩემ ნაშრომში მოცემულია ამ პროგნოზის რეპრეზენტაცია და ანალიზი.

მეორე მხრივ, აშშ-ში 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარდა საქართველოში საპარლამენტო არჩევნები. შეიძლება ითქვას, რომ აშკარა გახდა, რომ ჩვენთან ჩატარებულ არჩევნებზე დიდ გავლენას ახდენს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები. მაგალითისთვის, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ოპოზიციონერი ლიდერები უკვე აღარც მალავენ, რომ ისინი იმედის თვალით შეჰყურებენ 2021 წლის 20 იანვრისთვის მოსალოდნელ საპრეზიდენტო ინაუგურაციას აშშ-ში და არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობენ, რომ აშშ-ში ახლად არჩეული პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოში ოპოზიციის მხარდამჭერად მოგვევლინება, შეცვლის აშშ-ის ელჩს საქართველოში და ხელისუფლებას აიძულებს მთელ რიგ დათმობებზე წავიდეს ოპოზიციის სასარგებლოდ და ა.შ.

სტატიაში მოცემულია 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების ანალიზი - რამდენად მოსალოდნელი იყო მიღებული შედეგები, რამ განაპირობა არჩევნების შემდეგ განვითარებული პროცესები და როდის/როგორ შეიძლება მოხდეს მისი განმუხტვა და სხვ.

**საკვანძო სიტყვები: აშშ, საქართველო, არჩევნები, 2020 წელი, ოპოზიცია, ბოიკოტი, არჩევნების გაყალბება, ნოოლოგია, ოპტიმალიზმის დოქტრინა, Covid19, პანდემია.**

**Abstract**

It is a well known notion that all major incidents taking place during the US election year directly or indirectly affects the very results of the election itself. Therefore the chances of Covid-19 pandemic influenced the outcome of the 2020 US presidential election are reasonably high. This article examines the 2020 US election results within the framework of analysis of all the significant instabilities that happened during the election year (in this regard one of the key events analysed in the article is “Black Lives Matter” movement).

With this in mind it is crucial to mention that the recent socio-political turbulences, occurring in the United States as the chain of events, were predicted and well described a couple of years before by Georgian researcher in the field. This article will try to represent and analyse the predictions forecasted long before.

On the other hand, the 2020 parliamentary election of Georgia took place in parallel to the 2020 US presidential election. Strong connection in these two events became clear, as the election in The United States influenced the election in Georgia. Opposition leaders in Georgia have explicitly manifested their expectations toward Joe Biden administration. With the hope that the new administration will be more assistive to Georgian opposition parties, might appoint a new ambassador in Tbilisi and negotiate a favourable deal to the opposition.

This article also includes an analysis of the 2020 Georgian Parliamentary Election. It will try to retrospectively assess the election outcomes and review the political processes afterwards. It will also bring possible resolution for the ongoing political instabilities in Georgia.

**Key Words: USA, Georgia, Elections, 2020, Opposition, Boycott, Fabrication of Election Results, Noology, Doctrine of Optimalism, Covid-19, Pandemic.**

**შესავალი**

2020 წლის არჩევნები საქართველოსა და აშშ-ში კალენდარულად ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან - 31 ოქტომბერს საქართველოში და 3 ნოემბერს აშშ-ში. თუმცა განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, აშშ-ში კი რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო წინასწარი ხმების მიცემა. როგორც საქართველოში, ასევე აშშ-ში შარშანდელი არჩევნები ხასიათდებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი წინაპირობით:

- ორივე შემთხვევაში პოლიტიკურ პროცესებზე დიდი გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ის პანდემიამ;

- ორივეგან იყო ძალიან მაღალი დაძაბულობა - პრაქტიკულად, დაპირისპირებამდე მისული.

იყო განსხვავებაც - აშშ-ის არჩევნებს თან სდევდა “Black Live Matters”-ის მოძრაობის გააქტიურება, ხოლო საქართველოში რამდენიმე თვით ადრე შეიქმნა რამდენიმე ახალი პარტია, რომელთა ნაწილმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ “Black Live Matters”-ის მოძრაობა არ შექმნილა 2020 წელს. ის მანამდე შეიქმნა და გააქტიურდა იმდენად ორკესტრირებულად და ორგანიზებულად, რომ აშკარად ჩანდა, რომ ისინი ემზადებოდნენ სხვადასხვა მოვლენებისთვის წინა პერიოდშიც - 2018-2019 წლებში და პირველი სიგნალი და საბაბიც მიიღეს, როცა ერთ-ერთი შავკანიანი გარდაიცვალა პოლიციელის ფიზიკური ზემოქმედების შედეგად. მოგვიანებით დამტკიცდა, რომ პოლიციელის ზემოქმედებას არ მოჰყოლია აღნიშნული შედეგი, მაგრამ ეს ფაქტი, თითქმის უმნიშვნელო იყო (რადგან ეჭვმიტანილი თეთრკანიანი პოლიციელი დააკავეს), მთავარი იყო ის, რომ პროცესი დაიძრა. რამდენიმე საათში მოახერხეს მრავალრიცხოვანი აქციების ორგანიზება. ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ საპროტესტო მოქმედებები დაგეგმილი იყო მანამდე.

ცალკე საკითხია ისიც, რომ კოვიდ-19-ის პანდემია ძალიან საეჭვოდ დაემთხვა შეერთებულ შტატებში არჩევნების პერიოდს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოვიდ19-ის პანდემია შესაძლოა ორგანიზებული ყოფილიყო გლობალური ძალების მიერ, რომელთა ინტერესებშიც შედიოდა აშშ-ს არჩევნებში ჯო ბაიდენის გამარჯვება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთში 2020 წლის განმავლობაში დაგეგმილი მთავრობის ცვლილება დაჩქარდა და 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში განხორციელდა. აქ შეიძლება ვივარაუდოთ ის, რომ რუსეთის მთავრობას ქონდა ინფორმაცია, რომ მოსალოდნელი იყო ასეთი მასშტაბური პრობლემები ს გეოპოლიტიკაში.

ასევე - როგორც გაეროს გენერალურმა მდივანმა, აგრეთვე პუტინმა პირდაპირ უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს მოუწოდა შეკრებილიყვნენ დაუყოვნებლივ, რათა მსოფლიო უსაფრთოების საკითხებზე ემსჯელათ.

## 1. პანდემია კოვიდ-19: მედია-სტატისტიკა მისი სიკვდილიანობის შესახებ

პანდემია კოვიდ-19-ის საჯაროდ გავრცელებული მონაცემები სიკვდილიანობის შესახებ: 117,751,038 შემთხვევა, 2,612,196 სიკვდილი, ანუ 2.2%. საინტერესოა ის, რომ 2020 წლის დასაწყისში პროცენტული მაჩვენებელი იყო 5%-ზე მეტი, 2020 წლის განმავლობაში კი „დაიკლო“.[1]

## 2. კოვიდ-19 და მისი სიკვდილიანობა სამედიცინო კვლევების შედეგად

2020 წლის ივლისში პარალელურ რეჟიმში ორი კვლევა ჩატარდა, ერთ-ერთი განგელტში, გერმანიაში, ხოლო მეორე - სანტა-კლარაში, აშშ-ში. სეროლოგიური კვლევის შედეგად დადგინა, რომ განგელტში კოვიდ-19-ით ინფიცირებულთა შორის სიკვდილიანობა 0.37% იყო, ხოლო სანტა-კლარაში იგივე სახის კვლევამ აჩვენა, რომ სიკვდილიანობა 0.17%-ს არ აღემატებოდა.

გერმანულ დასახლება განგელტს 12,597 მკვიდრი ყავს, მათგან 919-ს ჩაუტარდა ტესტირება და მხოლოდ 15.5%-ს დაუდგინა ორგანიზმში ვირუსის არსებობა. მათგან მხოლოდ 7 ადამიანი გარდაიცვალა კოვიდ-19-ით, რაც ცხადყოფს, რომ 0.37% იყო სიკვდილიანობის მაჩვენებელი.

კალიფორნიის ერთ-ერთ ოლქში, სანტა-კლარაში, რომლის მოსახლეობაც 1.9 მილიონი ადამიანია, შეირჩა 3300 მოსახლე და ანტისხეულების არსებობაზე შემოწმდა. 3300 ტესტიდან მხოლოდ 50 მათგანმა აჩვენა პოზიტიური რეზულტატი. ამ მონაცემების ოლქის მთელ მოსახლეობაზე გადატანის შემთხვევაში მივიღებთ, რომ შტატში ინფიცირებულთა რაოდენობა 2.8% იქნებოდა, რაც 54 ათასი დაინფიცირებული ადამიანის ექვივალენტურია, ხოლო მათგან გარდაიცვლებოდა მხოლოდ 0.17%.[2]

2020 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც კოვიდ-19-ით სიკვდილიანობის მაჩვენებელს იკვლევს იტალიისა და ჩინეთის მაგალითების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ერთ-ერთი შესაძლო ახსნა იმის შესახებ, თუ რატომ იყო იტალიაში სიკვდილიანობის მაჩვენებელი ჩინეთთან შედარებით საგრძნობლად მაღალი, მდგომარეობს თავად კოვიდ 19-თან დაკავშირებული სიკვდილიანობის დეფინიციისა და განსაზღვრის პრობლემურობაში. მაგალითად, იტალიაში კოვიდ-19-ით გარდაცვლილთა რიცხვს ათვლიან ყველას, ვისაც ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე კოვიდი დაუფიქსირდა და არ ხდება პაციენტებში არსებული წინარე ქრონიკული დაავადებების გათვალისწინება, რომელთაც სიკვდილის პროვოცირება შეეძლოთ.[3]

იტალიაში კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ამ მეთოდით აღწერამ გამოიწვია კოვიდით გარდაცვლილთა რიცხვის უხეში უტრირება და დამახინჯება. ერთ-ერთი კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა კოვიდ-19-ის შედეგად გარდაცვლილი 355 პაციენტი, ამ პაციენტების საშუალო ასაკი 79.5 წელი იყო, ხოლო 30% ქალი გახლდათ. მათი სამედიცინო ისტორიის დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოჩნდა, რომ 117 პაციენტს (30%-ს) იშემიური გულის დაავადება აღენიშნებოდა, 126 ადამიანს (35.5%-ს) დიაბეტი ჰქონდა, 72 ადამიანს (20.3%-ს) კიბოს აქტიური სტადია ჰქონდა, 34 ადამიანს (9.6%-ს) ინფარქტი უფიქსირდებოდა ისტორიაში და ა.შ. მთლიანობაში მხოლოდ 3 პაციენტს (0.8%-ს) ჰქონდა სუფთა სამედიცინო ისტორია. შესაბამისად, ჩნდება იმის ეჭვი, რომ კოვიდ-19-ს შესაძლოა საერთოდ არ უთამაშია გადამჭრელი როლი ამ 355 პაციენტში სიკვდილის პროვოცირებაში.

---

[1] Worldometer, COVID-19 CORONAVIRUS PANDEMIC, Graphs - Countries - News, Last updated: March 09, 2021, 09:49 GMT [Last checked - March 09, 2021]

[2] D. Mergel, Covid-19 Fatality Rate Between 0.1 and 0.3%, Gangelt and Santa Clara Combined. *Preprints* 2020, 2020070155; [Last checked - 9 March, 2021]

[3] G. Onder, G. Rezza, S. Brusaferro. Case-Fatality Rate and Characteristics of Patients Dying in Relation to COVID-19 in Italy. *JAMA.* 2020;323(18):1775–1776. [Last checked - 10 March, 2021]

## 3. კოვიდ 19-ით გარდაცვლილი ადამიანების საშუალო ასაკი

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გარდაცვლილთა საშუალო ასაკი იყო ამავე ქვეყნებში სიცოცხლის საშუალო ასაკის იდენტური და ინფიცირებულთა საშუალო ასაკი იყო ამავე ქვეყანაში მედიანურ ასაკთან ძალიან ახლოს. ეს ნიშნავს, რომ გარდაცვლილთა სტატისტიკაში, პრაქტიკულად კოვიდ-19-ს სერიოზული ცვლილება არ შეაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საშიშ ვირუსად იქნა მიჩნეული და პანდემიაც გამოცხადდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ.

კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა საშუალო ასაკი ინგლისსა და უელსში 82.4 წელს შეადგენს.[4] შოტლანდიაში კი კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ასაკი ქალებში 84 წელია, ხოლო მამაკაცებში - 79. ამავდროულად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შოტლანდიაში შემდეგია: ქალები - 81.1 წელი, მამაკაცები - 77.1 წელი.[5]

ჩეხეთში კოვიდ-19-ით გარდაცვლილთა საშუალო ასაკი 79-80 წელია (მედიანური ასაკი ჩეხეთში 43.2)[6]. აღსანიშნავია, რომ კოვიდით გარდაცვლილთა 93%-ზე მეტს ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები შეადგენენ.[7] ავსტრალიაში კოვიდით ინფიცირებულებს შორის გარდაცვლილთა აბსოლუტური უმრავლესობა 70 წელს გარდაცვლილებზე მოდის[8]. მსოფლიოში კოვიდით გარდაცვლილების 92% 65 წელს გადაცილებულ ადამიანებზე მოდის.[9]

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ფაქტი, რომ კოვიდ-19-თ გარდაცვლილად მიიჩნევენ ყველას, ვისაც ქონდა კოვიდ-19, მიუხედავად იმისა, თუ რამ გამოიწვია მისი გარდაცვალება, რაც ნიშნავს იმას, რომ არ ხდებოდა პათოლოგ-ანატომების მიერ გვამების გაკვეთა - პიროვნებას ჰქონდა კოვიდ-19, გარდაიცვალა, ე.ი. ის შედის აუცილებლად კოვიდ-19-ით გარდაცვლილთა სტატისტიკაში, ამ დროს კი შეიძლება მიზეზი სხვა რამ ყოფილიყო.

## 4. პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები

თუ შევადარებთ პრეზიდენტ ობამას და პრეზიდენტ ტრამპის ეკონომიკურ შედეგებს, კარგად ჩანს, რომ ეს შედეგები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან. შეიძლება ითქვას, რომ უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი უფრო შემცირდა ტრამპის პრეზიდენტობის დროს, ვიდრე ობამას პრეზიდენტობის დროს. ინფლაციის მხრივ ტრამპის პრეზიდენტობის დროს იყო ოდნავ უფრო

---

[4] Kaya Burgess, "Average age of coronavirus fatalities is 82", The Times, Saturday October 10, 2020 [Last checked - 9 March, 2021] – https://www.thetimes.co.uk/article/average-age-of-coronavirus-fatalities-is-82-pcwqrzdzz

[5]"Covid death figures: 10 things we've learned", BBC NEWS, 6 October, 2020 [Last checked - 10 March, 2021] - https://www.bbc.com/news/uk-scotland-54433305

[6] Ministry Of Health Of The Czech Republic, "Average Age of Deceased Patients Who Are COVID-19 Positive Is 79-80", Nov. 25, 2020 [Last checked - 9 March, 2021] https://koronavirus.mzcr.cz/en/average-age-of-deceased-patients-who-are-covid-19-positive-is-79-80/

[7] "Over 93% of people who died with Covid-19 had underlying condition - CSO", Breaking News, Irish and International Headlines, The Irish Times, Nov 6, 2020 [Updated: Fri, Nov 6, 2020, 13:32; Last checked - 9 March, 2021] - https://www.irishtimes.com/news/health/over-93-of-people-who-died-with-covid-19-had-underlying-condition-cso-1.4402354

[8] "COVID-19 deaths by age group and sex", Australian Government Department of Health, March 3, 2021 [Last checked - 10 March, 2021]- https://www.health.gov.au/resources/covid-19-deaths-by-age-group-and-sex

[9] "COVID-19 Deaths and Cases", CSO statistical release, May 22, 2020 [Last checked - 10 March, 2021] - https://www.cso.ie/en/releasesandpublications/br/b-cdc/covid-19deathsandcases/

მაღალი ინფლაცია, ვიდრე ობამას პერიოდში. მთლიანობაში, უმუშევრობის საშუალო მაჩვენებლები, ბევრად უკეთესია ტრამპის შემთხვევაში, თითქმის იდენტურია მშპ-ს ზრდა - ოდნავ უკეთესი აქვს ტრამპს, და უკეთესი მაჩვენებელი ინფლაციაში აქვს ობამას. იხ. შესაბამისი ცხრილი ქვემოთ.[10]

| **წელი** | **უმუშევრობა** | **მშპ-ის ზრდა** | **ინფლაცია** | **პრეზიდენტი** |
|---|---|---|---|---|
| 2013 | 6.70% | 1.80% | 1.50% | **ობამა** |
| 2014 | 5.60% | 2.50% | 0.80% | |
| 2015 | 5.00% | 3.10% | 0.70% | |
| 2016 | 4.70% | 1.70% | 2.10% | |
| **საშუალო** | **5.50%** | **2.28%** | **1.28%** | |
| 2017 | 4.10% | 2.30% | 2.10% | **ტრამპი** |
| 2018 | 3.90% | 3.00% | 1.90% | |
| 2019 | 3.50% | 2.20% | 2.30% | |
| **საშუალო** | **3.83%** | **2.50%** | **2.10%** | |

თუ შევხედავთ მეორე წყაროს, ჩანს რომ გეგმაზომიერად მიდის ქვევით უმუშევრობის მაჩვენებელი დაწყებული ობამასგან ტრამპის პრეზიდენტობის ფარგლებში. 2019 წლის ჩათვლით მაჩვენებელი დავიდა 3,5%-ზე და 2020 წელს ავიდა ისევ 8%-ზე ზევით. უმუშევრობის მსგავსი მკვეთრი ზრდა მოხდა 2008-2009 წლებში და 2010 წლიდან ისევ კლება დაიწყო - ანუ მსგოლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევა. იხ. გრაფიკი ქვემოთ:[11]

Unemployment rate in the United States from 1990 to 2020




თუ იმასაც ავიღებთ, რომ ტრამპს საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ყავს აშშ-ში საშუალო და დაბალ ფენებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს ის არ წააგებდა, რომ არა აღნიშნული კოვიდ-19-ის პანდემია. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პანდემია იყო ხელოვნურად ინსპირირებული და ის მოაწყვეს მისმა მოწინააღმდეგეებმა.

[10] Kimberly Amadeo, Unemployment Rate by Year Since 1929 Compared to Inflation and GDP, September 17, 2020 [Last checked - 7 March, 2021] - https://www.thebalance.com/unemployment-rate-by-year-3305506

[11] Statista Research Department, Unemployment rate in the United States from 1990 to 2020 [Last checked - 7 March, 2021] - https://www.statista.com/statistics/193290/unemployment-rate-in-the-usa-since-1990/

## 5. ტრამპის და ბაიდენის ლოზუნგები და ურთიერთდამოკიდებულება

**Make America Great Again** - ეს ლოზუნგი დონალდ ტრამპმა 2016 წელს მის საარჩევნო კამპანიაში გამოიყენა, შემდგომ კი, 2020 წლის არჩევნებზე შემდგომი ფორმულირებით იყო წარმოდგენილი: **Keep America Great** და **America First**. ჯო ბაიდენის ლოზუნგები კი შემდეგი იყო: **Battle for the Soul of the Nation; Our Best Days Still Lie Ahead** და **Build Back Better; Unite for a Better America.**

ნიშანდობლივია ლიბერალური ელიტის დამოკიდებულება ტრამპის მიმართ. ამისი პირდაპირი მაგალითია ამერიკელი კინომსახიობის, რობერტ დე ნიროს გამოსვლა ერთ-ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე, სადაც საუბარს იწყებს ტრამპის მიმართ უცენზურო სიტყვებით - Fuck Trump[12] და დარბაზში მყოფი ელიტისგანაც გულწრფელ ოვაციებს იღებს. მისი დამოკიდებულება იგივეა დაახლოებით 1 წლის შემდეგაც და ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს - Donald Trump Is “A Fake President” („დონალდ ტრამპი არის ყალბი პრეზიდენტი“).[13]

ტრამპი მის ოპონენტს “მძინარე ჯოს” უწოდებდა, ბაიდენი კი ტრამპს არაკომპეტენტურ პრეზიდენტად მიიჩნევს - **„აშშ-ს არასოდეს ჰყოლია ასეთი არაკომპეტენტური პრეზიდენტი“,** თქვა მან.

## 6. აშშ-ის საზოგადოებრივი მოძრაობა „Black Lives Matter“

საზოგადოებრივი მოძრაობა რომელსაც ჩვენ დღეს ვიცნობთ „Black Lives Matter“ სახელით, დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში 2013 წელს. მას საფუძვლად დაედო 17 წლის აფრო-ამერიკელი ტრეივონ მარტინის მკვლელობა. ორგანიზაცია აქტიურად ებრძოდა რასისტული ნიშნით სახელმწიფოს მხრიდან შავკანიანი მოქალაქეების სხვადასხვა მეთოდებით ძალადობას, თუმცა ორგანიზაცია 2020 წლამდე დიდი ცნობადობით არ გამოირჩეოდა შეერთებული შტატების სამოქალაქო სივრცეში.

2020 წლის 25 მაისს, ქალაქ მინეაპოლისში, დაკავების დროს პოლიციის მიერ ძალის გადამეტებას ემსხვერპლა აფრო-ამერიკული წარმოშობის ჯორჯ ფლოიდი. ამ მოვლენის შემდეგ ანტი-რასისტული მოძრაობა, „Black Lives Matter“ აქტიურად ჩაერთო შავკანიანთა დაცვის კამპანიაში. საპროტესტო გამოსვლებით და მასიური შეკრებები საწყის ეტაპზე მინეაპოლისიდან დაიწყო, რამდენიმე კვირაში კი მან მთელი ქვეყანა მოიცვა. პროტესტის მასიურმა ტალღამ სულ მალე ქვეყნის საზღვრებს გარეთაც გააღწია, განსაკუთრებით დიდი გამოსვლები გაიმართა კანადაში, დიდ-ბრიტანეთსა და ევროპაში. ამერიკული მასმედია საშუალებების საპროტესტო ტალღის ისტორიულ მასშტაბებზე მიანიშნებდნენ, სხვადასხვა მონაცემებით[14] აშშ-ში საპროსტესტო აქციებში 25 მილიონამდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. იკვეთება მასობრივი მედია-საშუალებების მიერ ამ სლოგანის ქოლგის ქვეშ მასშტაბური კამპანიის მხარდაჭერა, რამაც გამოიწვია საპროტესტო ტალღის აგორება საერთაშორისო დონეზე.

საპროტესტო აქციების დროს, ხშირად ფიქსირდებოდა შემთხვევები, სადაც პროტესტის მონაწილეები ლოზუნგით “Vote Donald Trump out” აქტიურად მოუწოდებდნენ საზოგადოებას არჩევნებში დონალდ ტრამპის წინააღმდეგ ხმის მიცემისაკენ[15]. მედია-საშუალებების მხრიდან ამ

---

[12] Guardian News, Robert de Niro's 'Fuck Trump' speech at Tony awards, [Last checked - 9 March, 2021] - https://www.youtube.com/watch?v=1zNr8Pf1QkY
[13] The Late Show with Stephen Colbert, Robert De Niro: Donald Trump Is "A Fake President", [Last checked - 9 March, 2021] - https://www.youtube.com/watch?v=EPO9WmkHYEw
[14] Black Lives Matter May Be the Largest Movement in U.S. History, Larry Buchanan, Quoctrung Bui and Jugal K. Patel, July 3, 2020, [Last checked - 10 March, 2021] https://www.nytimes.com/interactive/2020/07/03/us/george-floyd-protests-crowd-size.html
[15] Black Lives Matter movement could boost the anti-Trump vote, Oliver Sallet, Deutsche Welle, Nov. 2. 2020, [Last checked - 9 March, 2021]

საკითხის ხელოვნურად წინა პლანზე წამოწევა და ქვეყანაში დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო განწყობების გაღვივებაზე მეტყველებს USA TODAY-ის მიერ ჩატარებული უახლესი გამოკითხვა[16]. გამოკითხვის მიხედვით, მოძრაობა “Black Lives Matter” მიმართ ნდობა საგრძნობლად არის შემცირებული და გაზრდილია ამერიკელ სამართალდამცავთა მიმართ ნდობის მაჩვენებელი. გამოკითხულთა 36%-ს სჯერა, რომ ჯორჯ ფლოიდი მოკლეს, მაშინ როცა 2020 წლის ივნისში ჩატარებული გამოკითხვით ეს რიცხვი 60% იყო.

ბუნებრივია პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ შოკს სხვა სოციალურ პრობლემებთან ერთად დაემატა რასისტული ნარატივით გაჯერებული საზოგადოებრივი დაძაბულობა. პირდაპირ თუ ირიბად მეინსტრიმული მედია საშუალებების მხრიდან ხშირად ხდებოდა რესპუბლიკელი პრეზიდენტი დონალდ ტრამპისთვის სხვადასხვა რასისტული მოტივებით გაჯერებული ნარატივების მიწერა და ქვეყანაში დისკრიმინაციული ფონის ხელოვნურად გაზრდა.[17]

არჩევნების შედეგებზე დაკვირვებით მკაფიოდ ჩანს რომ პატარა ქალაქებსა და სოფლებში ძირითადად გაიმარჯვა ტრამპმა, დიდ ქალაქებში კი ბაიდენმა. შეიმჩნევა სერიოზული ბალანსი და ძირითადი სტატისტიკის მიხედვით, ძალიან ბევრი ცვლილება მოხდა 2020 წლის არჩევნებში. კერძოდ, 2016 წელს, როდესაც ასევე დაძაბული არჩევნები იყო ტრამპსა და ჰილარი კლინტონს შორის, აქტიურობა იყო 56.5%. ახლა კი ბაიდენსა და ტრამპს შორის არჩევნებზე აქტიურობამ მიაღწია 66.7%-ს. შესაბამისად, არჩევნებზე მისულთა პროცენტი გაიზარდა დაახლოებით 10%-ით. იხ. ცხრილი ქვემოთ:

| წელი | ტრამპი, ხმები | კონკურენტი და ხმები | | ჯამი | მოსახლ. | % ხმები /მოსახლ. | აქტიურობა % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2016 | 62,984,828 | 65,853,514 | კლინტონი | 128,838,342 | 323,000,000 | 39.9% | 56.5% |
| 2020 | 74,216,747 | 81,268,867 | ბაიდენი | 155,485,614 | 330,000,000 | 47.1% | 66.7% |
| | | | **სხვაობა** | **26,647,272** | **7,000,000** | **7.2%** | **10.2%** |

შედეგების გათვალისწინებით, ეს დეტალები შეგვიძლია ერთგვარი რეკორდების სიის სახით წარმოვადგინოთ:

- 1932 წლის შემდეგ ამხელა პროცენტი, რაც ბაიდენმა მიიღო, არავის მიუღია;
- 1900 წლის შემდეგ ამდენ პროცენტს არჩევნებში არ მიუღია მონაწილეობა;
- ჯამში ამდენ ამომრჩეველს (155,5 მლნ-მდე) არასოდეს მიუღია მონაწილეობა;
- 81 მილიონზე მეტი ხმა (რაც ბაიდენმა მიიღო) აქამდე არც ერთ კანდიდატს მიუღია;

ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა ხმა მისცა ფოსტით, ანუ წინასწარ. აღსანიშნავია, რომ ტრამპი ითხოვდა მეილებითა და ფოსტით ხმის მიცემის პროცესი შეჩერებულიყო, რაც გამოწვეული იყო ეჭვებით, რომ ამ გზით ბაიდენს ხმათა რაოდენობა ნამდვილად მოემატებოდა.

---

https://www.dw.com/en/black-lives-matter-movement-could-boost-the-anti-trump-vote/a-55412690

[16] Exclusive: Stark divide on race, policing emerges since George Floyd's death, USA TODAY/Ipsos Poll shows, Susan Page, Sarah Elbeshbishi, Mabinty Quarshie, USA Today, Mar. 5, 2021, [Last checked - 7 March, 2021] https://www.usatoday.com/story/news/politics/2021/03/05/americans-trust-black-lives-matter-declines-usa-today-ipsos-poll/6903470002/

[17] Trump calls Black Lives Matter a 'symbol of hate' as he digs in on race, Kevin Liptak and Kristen Holmes, CNN, July 1, 2020, [Last checked - 10 March, 2021] https://edition.cnn.com/2020/07/01/politics/donald-trump-black-lives-matter-confederate-race/index.html

ხმოსნების ხმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება საინტერესო შედეგი: ბაიდენმა აიღო 306, ტრამპმა 232. მათ მიერ დაგროვებულ ხმებს შორის სხვაობა არის 74, ე.ი ტრამპი არ წააგებდა, თუკი აიღებდა დამატებით 37 ხმას. 37 ხმოსნის ხმის მისაღებად კი ტრამპს ჯამში ყოფნიდა არიზონას, ჯორჯიასა და ვისკონსინის შტატების ხმათა ჯამი - 21 500-ზე ნაკლებ მოქალაქეს მიეცა ბაიდენის ნაცვლად ტრამპის სასარგებლოდ. იხ. ცხრილი ქვემოთ:

| შტატი | სხვაობა | ხმოსნები | საჭირო სხვაობა |
|---|---|---|---|
| არიზონა | 10,457 | 11 | 5,229 |
| ჯორჯია | 11,779 | 16 | 5,890 |
| ვისკონსინი | 20,682 | 10 | 10,341 |
| **ჯამი** | **42,918** | **37** | **21,460** |

მთლიანობაში, დაძაბულობა იმდენად მაღალი იყო, რომ პრეზიდენტი ტრამპი არ დაესწრო ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას, თუმცა ამაზე ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ამით მოხარულია, რადგან ტრამპი არაკომპეტენტური პრეზიდენტი იყო (ცხადია, ამით მან ირიბად შეურაცხყოფა მიაყენა ტრამპის ამომრჩევლებს).

ბაიდენის ინაუგურაციამდე და ინაუგურაციის შემდეგ იყო ათასგვარი სპეკულაციები, ელოდებოდნენ ტრამპის დაკავებასაც კი, თუმცა ეს პროცესი არ გაგრძელებულა და სავარაუდოდ, ტრამპს არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

## 7. საქართველოს საპარლამენტო არჩევნები 2020

აქ შედეგების მიხედვით აშკარა გახდა ორი პარტიის დომინირება, დანარჩენმა ძალებმა ერთი ფრაქციაც ვერ შექმნეს და პრორუსულად მიჩნეულმა ძალებმა მხოლოდ 4 პარლამენტარი შეიყვანეს. ამის მიუხედავად, ოპოზიციის მხრიდან დაიწყო არჩევნების ბოიკოტი. იმ პერიოდის პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, გააკეთა შეთავაზება, რომ თუ ოპოზიცია დაამტკიცებს 1%-იან დარღვევას, ამ შემთხვევაში მმართველი ძალა თანახმა იყო დაენიშნათ რიგგარეშე არჩევნები, რასაც მოჰყვა მხოლოდ სპეკულაციები. ამის ფონზე ბევრი ჟურნალისტი და ბევრი უცხოელი დამკვირვებელი მოუწოდებდა ოპოზიციას, რომ შესულიყვნენ პარლამენტში და პარლამენტიდან გაეგრძელებინათ პოლიტიკური მოღვაწეობა, მაგრამ უშედეგოდ.

შედეგები აჩვენებს რომ ხმების 75%-ზე მეტი მიიღო ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა და მათზევე განაწილდა საპარლამენტო მანდატების 84%. ნაციონალური მოძრაობის გარდა სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა კი ერთად დააგროვეს მხოლოდ 26 ხმა (16%).

| №№ | საარჩევნო სუბიექტი | პროპორციულში მიღებული % | %-ის მზარდი ჯამი | მანდატ. რაოდენ. | | | მანდატების მზარდი ჯამი | მანდატების მზარდი ჯამი % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | პროპორც | მაჟორიტ | სულ | | |
| 1 | ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო | **48.22%** | **48.22%** | **60** | **30** | **90** | **90** | **60.00%** |
| 2 | საარჩ. ბლოკი „ერთიანი ნაციონ. მოძრაობა-გაერთიან. ოპოზიცია „ძალა ერთობაშია” | **27.18%** | **75.40%** | **36** | **0** | **36** | **126** | **84.00%** |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპ. საქართვ. - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ | 3.79% | 79.19% | 5 | 0 | 5 | 131 | 87.33% |
| 4 | „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ | 3.15% | 82.34% | 4 | 0 | 4 | 135 | 90.00% |
| 5 | საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი” | 3.15% | 85.49% | 4 | 0 | 4 | 139 | 92.67% |
| 6 | „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი” | 3.14% | 88.63% | 4 | 0 | 4 | 143 | 95.33% |
| 7 | „გირჩი“ | 2.89% | 91.52% | 4 | 0 | 4 | 147 | 98.00% |
| 8 | „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ | 1.33% | 92.85% | 2 | 0 | 2 | 149 | 99.33% |
| 9 | „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ | 1.00% | 93.85% | 1 | 0 | 1 | 150 | 100.00% |
| 10 | ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა | 0.85% | 94.70% | 0 | 0 | 0 | 150 | 100.00% |
| 11 | სხვა პარტიები | 5.30% | 100.00% | 0 | 0 | 0 | 150 | 100.00% |
| | **ჯამი** | **100.00%** | | **120** | **30** | **150** | | |

ეს აჩვენებს, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია ძალიან ემსგავსება აშშ-ის სიტუაციას სადაც 2 დომინანტური პარტიაა: რესპუბლიკელები და დემოკრატები. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთისთვის და პირველ რიგში, შეერთებული შტატებისთვის სასურველი მდგომარეობისკენ მიდის სიტუაცია, რომ მხოლოდ ორი პარტია იღებდეს მთელი ხმების 90%-ზე მეტს. მართალია, საქართველოს შემთხვევაში 75%-ზე მეტი იყო მაჩვენებელი მაგრამ, ეს არც ისე ცოტაა.

**დასკვნის ნაცვლად: 2004 წელს მოხერხდა 2008 წლიდან დაწყებული გეოპოლიტიკური პროცესების პროგნოზირება**

2004 წელს დაიბეჭდა ქართველი მეცნიერის ემზარ ხვიჩია მონოგრაფია დასახელებით “ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია”[18]. ამ წიგნის 69-70 გვერდებზე წერია შემდეგი:

ციტატის დასაწყისი: *საწინააღმდეგო შემთხვევაში ანუ ხსენებულ სამეცნიერო სიახლეთა („ფსიქიკურ სტიქიათა თეორიისა“ და „ციკლური ლოგიკის“ შედეგები) გათვალისწინების გარეშე, რაც ნიშნავს ცივილიზაციის სტიქიურობის შენარჩუნებას (ცივილიზაციის შემადგენელ ერთა შორის ოპტიმალური ურთიერთმიმართების დამყარების შესაძლებლობის იგნორირება), მიმდინარე ათწლეულის დასასრულს მსოფლიო ცივილიზაცია XX საუკუნის ოცდაათიანი წლების ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდება. მორიგი (მეოთხე) ფორმის მანიის ცალფა ეფექტის ფაზის დადგომით, რაც 2010 წლის მახლობლად არის მოსალოდნელი, მოხდება ფორმის მანიის კლასის ერთა მკვეთრი დაწინაურება ყველა სფეროში (მაგალითად, ეკონომიკაში თავისუფალი საბაზრო რეგულირების ეფექტურობას შესცვლის სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირების ეფექტურობა, როგორც 30-იან და 40-იან წლებში). ამჯერად, ამ კლასის ლიდერი არა გერმანელი, არამედ მოსალოდნელია, რომ ჩინელი ერი იქნება, რომლის ყველაზე ენერგიული დასაყრდენი არაბული და ირანული სამყაროები მოგვევლინებიან, სადაც რადიკალურად განწყობილ ექსტრემისტულ ძალებს შენარჩუნებული ექნებათ პოლიტიკური ინიციატივა და ანტიდასავლური ორიენტაცია. ფორმის მანიის ფსიქიკური სტიქიისათვის დამახასიათებელი უცხოს შეუწყნარებლობა მსოფლიოში ანტაგონიზმის საყოველთაო აფეთქებას მოიტანს, რაც სტიქიურ მსოფლიო ცივილიზაციას დიდ განსაცდელს უქადის, მით უმეტეს, რომ დედამიწის ეკოსისტემის მდგრადობის რესურსი ამოწურვის ზღვარზეა.* ციტატის დასასრული.

[18] ე. ხვიჩია, “ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია”. გამომც. “ნეკერი”, თბ., 2004. გვ. 69-70

იგივე თქვა ემზარ ხვიჩიამ 2007 წლის 25 აპრილს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ღამის საუბრები“ (წამყვანი - ზურაბ ქარუმიძე). იხ. შემდეგი ფრაგმენტები: https://www.youtube.com/watch?v=LBxTSUJKFfY&t=2436s
https://www.youtube.com/watch?v=LBxTSUJKFfY&t=2505s[19]

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის პერეფრაზირება რომ გავაკეთოთ, მივიღებთ, რომ ემზარ ხვიჩიამ მის მიერ 2002 წელს დაწერილ და 2004 წელს დაბეჭდილ წიგნში, ასევე 2007 წლის აპრილის სატელევიზიო გადაცემაში გააკეთა პროგნოზი, რომ დაახლოებით 2010 წლიდან მოსალოდნელია ისეთი გეოპოლიტიკური პროცესები, რაც გულისხმობ ჩინურ-გერმანული ტიპის (მისი ტერმინებით „ფორმის მანიის კლასის ერების“) გააქტიურება. მისივე განმარტებით ამ ერებს ახასიათებთ უცხოს მიმართ შეუწყნარებლობა, საწარმოო ეკონომიკის დომინირება, იზოლაციონიზმი, ერთპარტიულობა, ლიბერალიზმის მიუღებლობა, სახელმწიფო მონოპოლისტური რეგულირება და სხვ.

ემზარ ხვიჩია თავის თეორიას უწოდებს „კვანტურ რელატივისტურ ნოოლოგიას“ (სიმარტივისთვის ქვემოთ უბრალოდ ნოოლოგიას გამოვიყენებთ).

მისივე განმარტებით, ამ პერიოდიდან დაწყებული ამგვარი ქცევის მოდელს დაექვემდებარება მთელი მსოფლიო, რაც სხვა ტიპის ეროვნულ სახელმწიფოებში გამოიწვევს საზოგადოებრივ წინააღმდეგობას. სწორედ ასეთი ტიპის წინააღმდეგობას აქვს დღეს აშშ-ში ადგილი.

მართლაც, ზემოხსენებული ტიპის პროცესები დაიწყო 2008 წელს მსოფლიო საფინანსო კრიზისით. შემდეგ მოხდა არაბული გაზაფხული, უკრაინის გააქტიურება და რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, აშშ-ში ობამაქეა, მოგვიანებით კი ტრამპის გაპრეზიდენტება, საფრანგეთში მარინ ლე პენი გავიდა მეორე ტურში, კატალონიამ დაიწყო აქტიური ბრძოლა სუვერენიტეტისთვის, მოხდა ბრექსიტი, ლიბერალური მიმართულების პოლიტიკურ პარტიებს მკვეთრად შეუმცირდათ გავლენა, მათ შორის საქართველოში და ა.შ.

სწორედ ზემოხსენებული პროგნოზისა და პროცესების რიგში ჯდება აშშ-ში საპრეზიდენტო 2020 წელს მიმდინარე დიდი დაძაბულობა და ამერიკელების შინაგანი ეროვნული მახასიათებლის გამომხატველი კანდიდატის (ჯო ბაიდენის) და ნოოლოგიის ტერმინებით ნოოფილოგენეზის ფაზის შესაბამისი კანდიდატის (დონალდ ტრამპის) სრული ურთიერთმიუღებლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ლიბერალური მიმართულების წარმომადგენლობისა, ჯო ბაიდენსაც არაერთხელ მოუწია კონსერვატიული (ანუ ზემოხსენებული ფაზის შესაბამისი) პოზიციის დაფიქსირება.

ნოოლოგიის შინაარსით მიღებული პროგნოზის სიზუსტემ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მსოფლიოში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ღრმად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და კრიზისული სიტუაციიდან გამოსასვლელად საჭიროა კვანტური რელატივისტური ნოოლოგიის შინაარსის გათვალისწინება.[20]

---

[19] ღამის საუბრები. სოციალურ – პოლიტიკური მეცნიერებათა დოქტორი ემზარ ხვიჩია. https://www.youtube.com/watch?v=LBxTSUJKFfY [უ.გ. 9 მარტი, 2021]

[20] ხვიჩია, ე. ,,ნოოლოგია. თვითკმარი არსებობის ლოგიკა‘‘, გამომც. ,,ახალი პარადიგმა‘‘, თბ, 2020.

## ბიბლიოგრაფია/Bibliography


1. Kimberly Amadeo, "Unemployment Rate by Year Since 1929 Compared to Inflation and GDP", September 17, 2020, currently available - https://www.thebalance.com/unemployment-rate-by-year-3305506 [Last checked - 7 March, 2021]
2. Statista Research Department, Unemployment rate in the United States from 1990 to 2020, Jan 22, 2021, currently available - https://www.statista.com/statistics/193290/unemployment-rate-in-the-usa-since-1990/ [Last checked - 7 March, 2021]
3. Guardian News, Robert de Niro's 'Fuck Trump' speech at Tony awards, June 11, 2018, currently available - https://www.youtube.com/watch?v=1zNr8Pf1QkY [Last checked - 9 March, 2021]
4. The Late Show with Stephen Colbert, Robert De Niro: Donald Trump Is "A Fake President", November 26, 2019, currently available – https://www.youtube.com/watch?v=EPO9WmkHYEw [Last checked - 10 March, 2021]
5. Night Talk - Emzar Khvichia, PhD. Political and Social Sciences, September 22, 2014, currently available – https://www.youtube.com/watch?v=LBxTSUJKFfY [Last checked - 9 March, 2021]
6. Larry Buchanan, Quoctrung Bui and Jugal K. Patel, "Black Lives Matter May Be the Largest Movement in U.S. History", July 3, 2020 – https://www.nytimes.com/interactive/2020/07/03/us/george-floyd-protests-crowd-size.html [Last checked - 10 March, 2021]
7. Oliver Sallet, "Black Lives Matter movement could boost the anti-Trump vote", Nov. 2. 2020 - https://www.dw.com/en/black-lives-matter-movement-could-boost-the-anti-trump-vote/a-55412690 [Last checked - 9 March, 2021]
8. Susan Page, Sarah Elbeshbishi, Mabinty Quarshie, "Exclusive: Stark divide on race, policing emerges since George Floyd's death, USA TODAY/Ipsos Poll shows", USA Today, Mar.5,2021- https://www.usatoday.com/story/news/politics/2021/03/05/americans-trust-black-lives-matter-declines-usa-today-ipsos-poll/6903470002/ [Updated 12:21 p.m. ET Mar. 5, 2021; Last checked - 7 March, 2021]
9. Kevin Liptak and Kristen Holmes, "Trump calls Black Lives Matter a 'symbol of hate' as he digs in on race", CNN, July 1, 2020 – https://edition.cnn.com/2020/07/01/politics/donald-trump-black-lives-matter-confederate-race/index.html [Last checked - 10 March, 2021]

10. Dieter Mergel, "Covid-19 Fatality Rate Between 0.1 and 0.3%, Gangelt and Santa Clara Combined", Preprints 2020, Received: 6 July 2020 / Approved: 8 July 2020 / Online: 8 July 2020 (12:04:50 CEST), 2020070155; [Last checked - 9 March, 2021]
11. Graziano Onder, Giovanni Rezza, Silvio Brusaferro, "Case-Fatality Rate and Characteristics of Patients Dying in Relation to COVID-19 in Italy", JAMA, 2020;323(18):1775–1776. [Last checked - 10 March, 2021]
12. Kaya Burgess, "Average age of coronavirus fatalities is 82", The Times, Saturday October 10, 2020 – https://www.thetimes.co.uk/article/average-age-of-coronavirus-fatalities-is-82-pcwqrzdzz [Last checked - 9 March, 2021]
13. "Covid death figures: 10 things we've learned", BBC NEWS, 6 October, 2020 - https://www.bbc.com/news/uk-scotland-54433305 [Last checked - 10 March, 2021]
14. Mexico's COVID-19 deaths average 55 years vs. 75 in Europe, December 11, 2020 - https://apnews.com/article/health-europe-coronavirus-pandemic-mexico-fcb5db0707f923f81c1339465ac58e76 [Last checked - 10 March, 2021]
15. Ministry Of Health Of The Czech Republic, "Average Age of Deceased Patients Who Are COVID-19 Positive Is 79-80", Nov. 25, 2020 - https://koronavirus.mzcr.cz/en/average-age-of-deceased-patients-who-are-covid-19-positive-is-79-80/ [Last checked - 9 March, 2021]
16. "Over 93% of people who died with Covid-19 had underlying condition - CSO", Breaking News, Irish and International Headlines, The Irish Times, Nov 6, 2020 - https://www.irishtimes.com/news/health/over-93-of-people-who-died-with-covid-19-had-underlying-condition-cso-1.4402354 [Updated: Fri, Nov 6, 2020, 13:32; Last checked - 9 March, 2021]
17. "COVID-19 deaths by age group and sex", Australian Government Department of Health, March 3, 2021 - https://www.health.gov.au/resources/covid-19-deaths-by-age-group-and-sex [Last checked - 10 March, 2021]
18. "COVID-19 Deaths and Cases", CSO statistical release, May 22, 2020 - https://www.cso.ie/en/releasesandpublications/br/b-cdc/covid-19deathsandcases/ [Last checked - 10 March, 2021]
19. ემზარ ხვიჩია, „ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია". გამომც. "ნეკერი", თბილისი, 2004.
20. ემზარ ხვიჩია, „ნოოლოგია. თვითკმარი არსებობის ლოგიკა", გამომც. „ახალი პარადიგმა", თბილისი, 2020.